**პროექტი**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №------

2024 წლის „__“ „ _____"

ქ. ოზურგეთი

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (ორგ. კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ“ წესში ცვლილების შეტანის შესახებ**

*საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილის, ასევე 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-20 მუხლის საფუძველზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო*

## ა დ გ ე ნ ს :

**მუხლი1.** შევიდეს ცვლილება **„ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (ორგ. კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 06 ივლისის N25 დადგენილებაში (ვებგვერდი 08/07/2022წ,** სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.113.016474) და დადგენილებით დამტკიცებული წესის :

**სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის (ორგ. კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ“**

**მუხლი 1-ელი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 1.ზოგადი დებულებანი

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის** (შემდგომში – პროგრამა) განხორციელების წესი წარმოადგენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროგრამის **(ორგ. კოდი 07.01.03)** განხორციელების ძირითად საფუძველს და მარეგულირებელ აქტს.

**მუხლი მე-2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 2. პროგრამის მიზნები

<u>პროგრამის მიზნებს წარმოადგენს:</u>

**ა)** სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული/თვითდასაქმებული პირების (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრები) მხარდაჭერა;

**ბ)** იმ პირების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება, რომელთა მიმდინარე/სამომავლო საქმიანობა მიმართულია ადგილობრივი წარმოების ზრდის, აგროტურისტული პოტენციალის განვითარების, საოჯახო მეურნეობის გაფართოებისა და პოპულარიზაციისკენ;

**გ)** ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გაძლიერების ხელშეწყობა, მათ შორის ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა;

**დ)** დასაქმების ხელშეწყობა.

**მე-5 მუხლის მე-2 , მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**მუხლი 5. პროგრამის საკოორდინაციო სამდივნო:**

„**2.** საკოორდინაციო სამდივნოს" შემადგენლობაში სავალდებულოდ და თანამდებობრივად შედიან:
**ა)** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წარმომადგენელ(ებ)ი;
**ბ)** საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წარმომადგენელ(ებ)ი;
**გ)** საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენელ(ებ)ი;
**დ)** მერის მოადგილე;
**ე)** მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის წარმომადგენელ(ებ)ი;
**ვ)** მერიის ადმინისტრაციის სამსახურების წარმომადგენელ(ებ)ი;
**ზ)** მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის წარმომადგენელ(ებ)ი.“

**მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში, ასევე მე-3 პუნქტის გ) , დ), ე) და ვ) პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 6. პროგრამის საკონკურსო კომისია:**

„**1.** პროგრამის ფარგლებში მიღებული განაცხადებიდან გამარჯვებული კანდიდატების შერჩევის მიზნით, იქმნება ,,საკონკურსო კომისია" (შემდგომში – კომისია).

**2.** ,,საკონკურსო კომისიის" შემადგენლობას ,,საკოორდინაციო სამდივნოს" წარდგინებით წელიწადში ერთხელ ამტკიცებს მერი.
**3.** ,,საკონკურსო კომისიის" შემადგენლობა განისაზღვრება შემდეგი წესით:
**ა)** მერის მოადგილე;
**ბ)** საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯომარე;
**გ)** მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის და ეკონომიკური განვითარების სამსახურების წარმომადგენელ(ებ)ი;
**დ)** ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს წარმომადგენელ(ებ)ი;
**ე)** პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენელ(ებ)ი;
**ვ)** სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელ(ებ)ი.“

**მე-7 მუხლის 1-ელი პუნქტის ა) ქვეპუნქტი, ასევე მე-3 პუნქტი და მე-4 პუნქტის გ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით ასევე მე-7 მუხლს დაემატოს მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტი:**

**„მუხლი 7. პროგრამაში მონაწილეობის პირობები და პროგრამის ბენეფიციარი:**

**ა) 18** (თვრამეტი) წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე, ფიზიკური პირი, რომელსაც პროექტის გამარჯვების შემთხვევაში წარმოეშობა ინდივიდუალურ მეწარმედ ან მეწარმე იურიდიულ პირად დარეგისტრირების ვალდებულება;
**3.** პროგრამის ბენეფიციარად (შემდგომში - ბენეფიციარი) ჩაითვლება ფიზიკური პირი, ინდივიდუალური ან მეწარმე იურიდიული პირი, რომელიც გადალახავს პროგრამის ბიზნეს იდეების გადარჩევის ეტაპს ან/და გამარჯვებული პროექტის ავტორია.
**გ)** ცენტრალური და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების მიერ ან/და მათი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიულ პირებში დასაქმებული პირი ან/და მისი ოჯახის წევრი (საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად).
**დ)** გამარჯვებული ბენეფიციარი ან/და მისი ოჯახის წევრი, **3**-ჯერ ზედიზედ გამოცხადებულ საგრანტო პროგრამის ფარგლებში.“

**მე-9 მუხლი 1-ელი პუნქტის ა),ბ),გ),დ),ე),ვ)ზ) ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 9. პროგრამის განხორციელების ეტაპები:

1. <u>პროგრამა მოიცავს განხორციელების შემდეგ ეტაპებს:</u>

ა) ბიზნეს იდეების კონკურსის გამოცხადება;
ბ) ბიზნეს იდეების მიღება და გადარჩევა ;
გ) ბენეფიციარების გადამზადება;
დ) ბიზნეს გეგმების წარდგენა და შეფასება ;
ე) გამარჯვებული პროექტების გამოცხადება;
ვ) გამარჯვებული პროექტების დაფინანსება;
ზ) გამარჯვებული პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგი.“

**მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**მუხლი 11. ბიზნეს იდეების მიღება:**

**„2.**საკოორდინაციო სამდივნოს" თავმჯდომარის დავალებით, ,,საკოორდინაციო სამდივნოს" ერთ-ერთი წევრს ეკისრება პასუხიმგებლობა, მიიღოს მუნიციპალიტეტის მერიის კანცელარიაში რეგისტრირებული ან/და ელექტრონული ვერსიით შემოსული განაცხადები და შემოსული განაცხადის ფორმის არასწორად/არასრულად შევსების ან კონკურსის პირობებთან შეუსაბამო სხვა გარემოებების არსებობის შემთხვევაში, კონკურსანტებს აღმოუჩინოს შესაბამისი საინფორმაციო მხარდაჭერა და ხარვეზის აღმოსაფხვრელად განუსაზღვროს გონივრული ვადა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გაგრძელდეს შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს **1** (ერთი) კვირისა.“

**მე-12 მუხლის 1-ელი პუნქტი ასევე მე-2პუნქტის ბ) და ვ) ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 12. ბიზნეს იდეების გადარჩევა:**

**„1.** ბიზნეს იდეების გადარჩევას უზრუნველყოფს პროგრამის ,,საკოორდინაციო სამდივნო" კონკურსის დასრულებიდან არაუმეტეს **3** (სამი) კვირის ვადაში.

**2.ბ)** ბიზნეს იდეის ავტორი **18** (თვრამეტი) წელს მიღწეული ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მეწარმე იურიდიული პირია, რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება **100,000** ( ასიათასი) ლარს ;
**ვ)** იდეის ავტორი არ წარმოადგენს ამ დანართის მე-**7** მუხლის, მე-**4** პუნქტით განსაზღვრულ პირს“.

**მუხლი მე-13 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 13. პროგრამის სასწავლო კომპონენტი:**

**1.** პროგრამის სასწავლო კომპონენტი უნდა მოიცავდეს შემდეგ ქვეკომპონენტებს: ბიზნეს გეგმის შედგენის, საგადასახადო დაბეგვრის რეჟიმების, ფინანსების, მარკეტინგის შესახებ, ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის თემებს და სხვა რელევანტურ საკითხებს.

**2.** მუნიციპალიტეტის მერი უზრუნველყოფს სასწავლო მოდულის განხორციელებას ბენეფიციარებისთვის ბიზნეს იდეების გადარჩევის დასრულებიდან **3** (სამი) კვირის ვადაში.

**3.** სასწავლო კურსის წარმატებით გავლა დასტურდება სერტიფიკატით. სერტიფიცირებულ ბენეფიციარებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ბიზნეს გეგმების წარდგენის ეტაპზე.“

**მუხლი მე-14 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 14. ბიზნეს გეგმების წარდგენა:**

**1.** სასწავლო პროგრამის დასრულებიდან არაუმეტეს **3** (სამი) კვირის ვადაში, ბენეფიციარები სამდივნოს წარუდგენენ ბიზნეს გეგმებს მატერიალური ან ელექტრონული ფორმით.

**2.** ბიზნეს გეგმები მიიღება მუნიციპალიტეტის კანცელარიაში მატერიალური ან/და ელექტრონული ფორმით და მას ენიჭება ინდივიდუალური ნომერი.

**3.** ,,საკოორდინაციო სამდივნოს" თავმჯდომარის დავალებით, ,,საკოორდინაციო სამდივნოს" ერთ-ერთი წევრს ეკისრება პასუხიმგებლობა, მიიღოს მუნიციპალიტეტის მერიის კანცელარიაში რეგისტრირებული ბიზნეს გეგმები და მოამზადოს ,,საკონკურსო კომისიისათვის" გადასაცემად.“

**მუხლი მე-15-ეს მე-4 პუნქტის გ), დ),ვ), ზ), ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით და ასევე დაემატოს**

**„მე-15 მუხლს მე-4 პუნქტს თ) ქვეპუნქტი :**

**მუხლი 15. ბიზნეს გეგმების შეფასება:**

**გ)** დამწყები ინდივიდუალური მეწარმე ან მეწარმე იურიდიული პირი - **2** (ორი) ქულა (ენიჭება ავტომატურად);
**დ)** სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივი - **2** (ორი) ქულა (ენიჭება ავტომატურად);
**ვ)** მრავალშვილიანი მშობელი (ოთხი და მეტი - **18** წლამდე შვილი) - **4** (ოთხი) ქულა (ენიჭება ავტომატურად);
**ზ)** შშმ პირი განმცხადებელი - **4** ( ოთხი) ქულა (ენიჭება ავტომატურად);
**თ)** დაბრუნებული მიგრანტი, რომელიც საზღვარგარეთ იმყოფებოდა უწყვეტად ერთ წელზე მეტი ვადით და სამშობლოში დაბრუნებიდან **2** (ორი) წლის განმავლობაში - **4** (ოთხი) ქულა (ენიჭება ავტომატურად)“;

**მუხლი მე-16-ეს 1-ელი და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**

**„მუხლი 16. გამარჯვებული პროექტების გამოცხადება:**

**1.**გამარჯვებული პროექტების შესახებ სარეკომენდაციო გადაწყვეტილებას იღებს და მერს წარუდგენს, ,,საკონკურსო კომისია", შეფასების პროცესის დასრულებიდან არაუმეტეს **10** (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

**6.**გამარჯვებული პროექტის ავტორ ფიზიკურ პირს, გამარჯვებულად გამოცხადების მომენტიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არანაკლებ **10** (ათი) სამუშაო დღეში, წარმოეშობა ინდივიდუალურ მეწარმედ ან მეწარმე იურიდიულ პირად დარეგისტრირების ვალდებულება“.

**მე-17 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :**

**მუხლი 17. ხელშეკრულების გაფორმების ეტაპამდე წარმოსადგენი დოკუმენტაცია.**

**1.** ბიზნესის განხორციელების ადგილის საკუთრების უფლების დამადასტურებელი ამონაწერი **(განახლებული მიმდინარე წლის მდგომარეობით)** საჯარო რეესტრიდან ან/და ბიზნესის განხორციელების ადგილის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, დროებით

სარგებლობის ფორმით მიღების დამადასტურებელი ხელშეკრულება, (იჯარის ხელშეკრულება და სხვა სახის დროებითი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია) რომლის მოქმედების ვადაც განისაზღვრება არანაკლებ **5** (ხუთი) წლით.

**2.** გადასახადის გადამხდელ ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

**3.** თანამონაწილეობის თანხის შემთხვევაში, ცნობა/ამონაწერი კომერციული ბანკიდან გადასახადის გადამხდელი ინდივიდუალური მეწარმის ანგარიშზე თანხის არსებობის შესახებ;

**4.** ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც უნდა მოხდეს გრანტის თანხის ჩარიცხვა;

**5.** ცნობა, კომერციული ბანკიდან, იმის თაობაზე, რომ მეწარმე სუბიექტს აღნიშნულ კომერციულ ბანკში არ გააჩნია ვადაგადაცილებული დავალიანება;

**6.** ამონაწერი მოვალეთა რეესტრიდან;

**7.** იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი არის რეგისტრირებული **დღგ-ს** გადამხდელად, ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან **დღგ-ს** გადამხდელად რეგისტრაციის დეტალური საფუძვლ(ებ)ის შესახებ;

**8.** ბენეფიციარის მიერ, ბიზნეს გეგმაში წარმოდგენილ ბიზნესის განხორციელების ადგილზე, განხორციელებისათვის საჭირო სანებართვო დოკუმენტაციები შესაბამისი სამსახურებიდან (საჭიროების შემთხვევაში).

**9**. კომისიის მიერ მოთხოვნის საფუძველზე განსაზღვრული სხვა საჭირო წარმოსადგენი დოკუმენტაცია.

**მე-18 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :**

**„მუხლი 18. პროექტების დაფინანსების წესი:**

**1.** პროგრამის გამარჯვებული პროექტის ავტორსა და მუნიციპალიტეტს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს მხარეთა შორის სამართლებრივ ურთიერთობებს და ითვალისწინებს გამარჯვებული ბენეფიციარის პასუხისმგებლობას ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში. აღნიშნულ ხელშეკრულებას და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს ხელს აწერს მუნიციპალიტეტის მერი ან მერის პირველი მოადგილე .

**1.1** ხელშეკრულების გაფორმებიდან პროექტის დასრულების ვადა შეადგენს არაუმეტეს **1** (ერთ) წელს.

**2.** მიმდინარე წლის პროგრამის ფარგლებში ერთი ბენეფიციარისთვის შეიძლება დაფინანსდეს მხოლოდ ერთი პროექტი და დაფინანსების მოცულობა შეადგენს არაუმეტეს **15,000** ( თხუთმეტიათასი) ლარს.

**3.** ,,საკონკურსო კომისიის" გადაწყვეტილებით ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი ბიზნეს გეგმა შეიძლება დაფინანსდეს სრულად ან ნაწილობრივ.

**3.1.** ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი ბიზნეს გეგმის თანხის/ბიუჯეტის კორექტირების შეთავაზების შეთანხმების შემთხვევაში არაუმეტეს **5** (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს კორექტირებული ბიუჯეტი მუნიციპალიტეტის კანცელარიაში მატერიალური ან ელექტრონული ფორმით (მუნიციპალიტეტის ელ. ფოსტის მისამართი - meriaozurgeti2018@gmail.com).

**3.2.** თანადაფინანსების თანხის არსებობის შემთხვევაში, (პირველ რიგში იხარჯება თანამონაწილეობის თანხა) ბენეფიციარმა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს **1** (ერთი) თვის

ვადაში უნდა წარმოადგინოს თანადაფინანსების ხარჯვის ყველა საჭირო დოკუმენტაცია.

**4.** გამარჯვებული პროექტის დაფინანსებისათვის გადაცემული თანხის ხარჯვის სრული დოკუმენტაციის წარმოდგენა ბენეფიციარის მიერ უნდა მოხდეს გრანტის თანხის ჩარიცხვიდან არაუმეტეს **2** (ორი) თვის ვადაში. აუთვისებელი თანხა რჩება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.
**4.1.** მეორადი ნივთის შეძენის შემთხვევაში ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია, კერძოდ: ხელშეკრულება/მიღება ჩაბარება და ასევე ნივთის საგარანტიო არანაკლებ **1** (ერთი) წლის ვადით. ( ნივთი უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში)".

**მე-19 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :**

**„მუხლი 19. გამარჯვებული პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგი:**

**1.** მონიტორინგს ანხორციელებს ,,საკოორდინაციო სამდივნოს" წევრები (არანაკლებ სამი) რომლებიც, ბიზნეს გეგმის დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხების ჩარიცხვიდან არაუმეტეს **4** (ოთხი) თვის ვადაში, ბენეფიციართა საქმიანობის ეფექტიანობისა და გრანტით განსაზღვრული თანხის მიზნობრივი ხარჯვის მონიტორინგს ანხორციელებს არანაკლებ **2**-ჯერ.
**2.** მონიტორინგის ფორმა მტკიცდება მერის ბრძანებით".

**მე-20 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :**

**„მუხლი 20. პროგრამის შეფასება:**

**1.** პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგის მასალებზე დაყრდნობით ,,საკოორდინაციო სამდივნო" შეიმუშავებს და ამტკიცებს პროგრამის განხორციელების წლიურ ანგარიშს, რომელიც მოიცავს როგორც რაოდენობრივ (დასაქმებულთა ოდენობა, წლიური შემოსავლის ზრდა), ისე თვისობრივ მაჩვენებლებს.

**2.** პროგრამის განხორციელების წლიურ ანგარიშს საკრებულოს წარმოუდგენს ,,საკოორდინაციო სამდივნოს" თავმჯდომარე ან/და ,,საკოორდინაციო სამდივნოს" წევრი, პროექტის დასრულებიდან არაუგვიანეს **1** (ერთი) თვის ვადაში.
**3.** საკრებულო ცნობად იღებს და აფასებს პროგრამის განხორციელების წლიური ანგარიშს".

**მე-20 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :**

**„ მუხლი 20. პროგრამის საინფორმაციო კამპანია:**

**1.** კონკურსის გამოცხადებამდე **2** (ორი) კვირით ადრე ,,საკოორდინაციო სამდივნო" შეიმუშავებს და მერი ამტკიცებს პროგრამის საინფორმაციო კამპანიის და კომუნიკაციის გეგმას, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, განსახორციელებელი აქტივობების, მხარდამჭერი ორგანიზაციების, საკონტაქტო პირების, ვადებისა და შესრულების ინდიკატორების შესახებ."

**22-ე მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :**

**„მუხლი 22. პროგრამის განხორციელების გამჭვირვალობის სტანდარტები:**

**1.** ,,საკოორდინაციო სამდივნოს" თავმჯდომარე ვალდებულია პროგრამის მიმდინარეობის თითოეულ ეტაპზე უზრუნველყოს გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტი.
**2.** პროგრამის ფარგლებში პროაქტიულად უნდა გამოქვეყნდეს შემდეგი სახის ინფორმაცია:
ა) პროგრამის განხორციელების წესი;

**ზ)** შესაბამისი საბიუჯეტო პროგრამა“;

**გ)** პროგრამის შეფასების ანგარიში;

**3.** ინფორმაცია პროაქტიულად უნდა გამოქვეყნდეს იმგვარი ფორმით, რომ მისი გამოქვეყნების დროს დაცული იყოს ბენეფიციართა პერსონალური ინფორმაცია და კომერციული საიდუმლოება“.

დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2.**დადგენილება ამოქმედდეს  გამოქვეყნებისთანავე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე  დავით დარჩია

**განმარტებითი ბარათი**

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა"-ის (ორგ. კოდი 07 01 03) წესში ცვლილების შეტანის შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე**

**(განმარტებითი ბარათი შედგენილია ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად).**

1. **პროექტის წარმდგენი:**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი - ავთანდილ თალაკვაძე

2. **პროექტის ავტორი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი:**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილე - გიორგი ღურჯუმელიძე

3. **პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:**

**ა) პროექტის მიღების მიზეზი:**

ა.ა) პროექტის შემუშავების საფუძველია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილი, ასევე 61-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ასევე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-20 მუხლი;

ა.ბ) ქვეპროგრამის მიზნებს წამოადგენს :

ა) სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული/თვითდასაქმებული პირების (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრები) მხარდაჭერა;
ბ) იმ პირების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება, რომელთა მიმდინარე/სამომავლო საქმიანობა მიმართულია ადგილობრივი წარმოების ზრდის, აგროტურისტული პოტენციალის განვითარების, საოჯახო მეურნეობის გაფართოებისა და პოპულარიზაციისკენ;
გ) ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გაძლიერების ხელშეწყობა, მათ შორის ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა;
დ) დასაქმების ხელშეწყობა.

ამდენად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მიიღოს წარმოდგენილი სამართლებრივი აქტის პროექტი.

ბ) პროექტის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ბ.ა) პროექტი ადგენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა"-ის (ორგ. კოდი 07 01 03) წესში ცვლილების შეტანისა და მის განხორციელების წესს;

კერძოდ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის" (შემდგომში – პროგრამა) განხორციელების წესი წარმოადგენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროგრამის (ორგ. კოდი 07.01.03) განხორციელების ძირითად საფუძველს და მარეგულირებელ აქტს.“

ბ.ბ) პროექტით ცვლილებები შედის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (ორგ. კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 06 ივლისის N25 დადგენილების სათაურში, რომელიც გამომდინარეობს და ესადაგება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის" (შემდგომში – პროგრამა) სათაურს და წარმოადგენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროგრამის დასახელებას **(ორგ. კოდი 07.01.03)** გარდა ამისა ცვლილებების შედის ნაწილობრივ ამავე დადგენილების პროგრამის მიზნებში, ასევე პროგრამის საკოორდინაციო ,სამდივნოსა და საკონკურსო კომისიასთან დაკავშირებით. პროგრამაში მონაწილეობის პირობებსა და ბენეფიციარების შესახებ. ასევე ბიზესს იდეების მიღების ,გადარჩევის და პროგრამის დაფინანსების წესთან დაკავშირებით. ასევე ცვლილებები შედის პროგრამის მიმდინარეობის მონიტორინგის, პროგრამის შეფასების, საინფორმაციო კამპანიისა და პროგრამის განხორციელების გამჭირვალობის სტანდარტებთან მიმართებით.

ბ) პროექტი შეიცავს პრეამბულას და მასში გადმოცემულია ამ ნორმატიული აქტის მიღების სამართლებრივი საფუძვლები.

ბ.ბ) პროექტი შეიცავს პრეამბულას და მასში გადმოცემულია ამ ნორმატიული აქტის მიღების სამართლებრივი საფუძვლები.

**ამდენად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მიიღოს წარმოდგენილი სამართლებრივი აქტის პროექტი.**

4. **იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):**

ა) პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

**5. არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან.**

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს.

**6. გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება.**

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება ზეგავლენას არ მოახდენს გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

**7. განმარტებითი ბარათის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ევროკავშირის სამართლებრივი აქტის არსებობის შემთხვევაში, მასთან შესაბამისობის ცხრილი, დანართი №1-ის შესაბამისად.**

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს.

**8. პროექტი სხვა ნორმატიულ აქტში იმ ცვლილების შეტანის შესახებ, რომელსაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა).**

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს.

**9. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სახელმწიფო ორგანოს დასკვნა წარდგენილი პროექტის საქართველოს კონსტიტუციასა და უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შესახებ.**

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს (დადგენილების პროექტზე საქართველოს კანონმდებლობა სახელმწიფო ორგანოს დასკვნას არ ითვალისწინებს).

10. **ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის ზეგავლენის შეფასება.**
ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის მიღება ზეგავლენას არ მოახდენს.

11. **პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2024 წლის ----ივნისი.**